

ოქმი N1

ქ. კასპი

11 მარტი 2016 წელი

სხდომას უძღვებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლი გოჩა გოჩიტაშვილი;
სხდომას ესწრებოდნენ ნინო ჯინიყაშვილი – კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; დალი კორკომაშვილი – კასპის
მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

1. კასპის კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის წევრებისა და დებულების გაცნობის შესახებ.
2. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის 2013-2016 წლების შესრულებული მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების გაცნობის შესახებ.
3. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

მოისმინეს:

1. საკითხი: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა ქვეპუნქტის და 861-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეიქმნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

რამაზ გიორგაძე -ქირურგი/მეწარმე; მამუკა ბერიძე -შპს „მარიმედის“ დირექტორი; გია მარქარაშვილი -შპს „კავთურა“-ს დირექტორი; ნუკრი ზახუაშვილი -მეწარმე; უშანგი მოსიაშვილი -სს „კასპიელექტრო აპარატი“ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; თამაზ მერეზაშვილი -შპს „თი-ენ-თი“-ს დირექტორი; დავით ხუციშვილი -შპს „გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ თეზი-ოკამისა და დოესი-გრაკლის სისტემური სამმართველოს უფროსი; ვასილ გვირიშვილი -მეწარმე; გოგი მერაბიშვილი -მეწარმე; დიმიტრი მჭედლიშვილი -მეწარმე; რუსუდან მიგრიაული -განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტის ხელმძღვანელი; ოლია მახარაძე - ქალაქ კასპის N2 საჯარო სკოლის დირექტორი; ნინო იაშვილი -მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზიის, ინდ მეწარმე „ბესიკ ნიპარიშვილი“-ს პედაგოგი; ნინო ნიპაროშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზიის, ინდ მეწარმე „ბესიკ ნიპარიშვილი“-ს პედაგოგი; თამაზ ნიპარიშვილი -ფერმერთა მომსახურების ცენტრის დირექტორი; ზაზა ჩიჩუა -შპს „ჯორჯიან პლასტიკის“ დირექტორი; ვალტერ აბაშიძე -მეწარმე; ზაზა ადუაშვილი -შპს „ჰაიდელბერგ ცემენტი“-ს კასპის ფილიალის მთავარ ინჟინერი; ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზიის ინდ მეწარმე „ბესიკ ნიპარიშვილი“-ს დირექტორი; მამუკა გოჭოშვილი -ფიზიკური პირი; ზვიადი პაპიაშვილი -სოფელ ოკამის საჯარო სკოლის დირექტორი ; დალი თაბუაშვილი - სოფელ ხოვლეს საბავშვო ბაღის გამგე.

საბჭო უფლებამოსილია

ა) უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. ბ) მიაწოდოს მუნიციპალიტეტის გამგებელს საბჭოს რეკომენდაციები და წინადადებები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით. გ) განიხილოს სხვადასხვა სფეროში მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ის საკითხები, რომლებიც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას. დ) მისთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე მოამზადოს და განსახილველად წარმოადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები; ე) განიხილოს გამგებლის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. ვ) მუნიციპალიტეტის ორგანოებიდან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები;

დაადგინეს: დამტკიცდა საბჭოს შემადგენლობა და დებულება.

2. საკითხი: მოისმინეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2013-2016 წლებში შესრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

კასპის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს მიერ გაიმართა დისკუსია მუნიციპალიტეტში ზოგადად არსებული მდგომარეობის შესახებ. და

დაადგინეს: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა წარმოადგინონ წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ.

3. საკითხი: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-5 მუხლის თანახმად, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატად, კომისიის წევრის გიორგი მერაბიშვილის მიერ, დაასახელა უმანგი მოსიაშვილი რომელსაც სრულმა შემადგენლობამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

დაადგინეს: კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-5 მუხლის თანახმად, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა უმანგი მოსიაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გოჩა გოჩიტაშვილი

მრჩეველთა საბჭოს მდივანი

ნინო ჯინიყაშვილი